

© Beate Frenzel, Gülşah Mavruk (2018)

მითითებები ქვეყანაში ახლადჩამოსულ
ემიგრანტ მოსწავლეებთან პირველი
გასაუბრების ჩასატარებლად
კითხვარის განმარტება

(Georgisch – Übersetzung durch externen Anbieter)

მოცემული კითხვარი წარმოადგენს მითითებებს მსჯელობისთვის და იძლევა პირითად ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა მასწავლებლებს შორის, რომლებიც ატარებენ გასაუბრებას გერმანიაში ახლადჩამოსულ იმიგრანტ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით (მათ ჩარიცხვამდე გერმანიის სკოლაში).

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩარიცხვასთან დაკავშირებული გასაუბრება წარმოადგენს მხოლოდ პირველად საორიენტაციო და მოსწავლეთა სასწავლო ჯგუფებში განაწილების ზოგად მითითებებს და შეიძლება,

სკოლის ადმინისტრაციისთვის საინტერესო ყველა საკითხის დაზუსტება ამ გასაუბრების ეტაპზე არ მოხერხდეს. კითხვები, რომლებსაც შეიძლება პასუხი არ გაეცეს პირველ ეტაპზე, როგორც წესი, ეხება მოსწავლის ოჯახურ პირობებს, ქვეყანაში ჩასვლასა და საცხოვრებელ სტატუსს, რადგან ასეთმა კითხვებმა შეიძლება წარსულის უსიამოვნო მოგონებები აღძრას ისედაც ტრავმირებულ მოსწავლეებში. გარდა ამისა, ფინანსური საკითხები სუბსიდიების ვადებსა და „BuT“ ზომების (ფასიანი სწავლება და დასაქმების ცენტრის მონაწილეობის ზომები) გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, მეურვეებსა და ბავშვის ზედამხედველებს შორის და ასევე, სკოლის სოციალურ სამსახურთან დამყარდება ნდობის ატმოსფერო.

საჭიროა კითხვარის ყველა ნაწილის ფორმულირება და ადაპტირება (მომავალი) მოსწავლეების ასაკისა და ენის ცოდნის მიხედვით. ყველა ბავშვისა თუ ახალგაზრდისთვის ყველა კითხვა შესაფერისი არ არის. ამ საკითხს წყვეტენ (მასპინძელი) მასწავლებლები.

კითხვარის მთავარ დანიშნულებას რესურსების სწორად განაწილება წარმოადგენს. შესაბამისად, საჭიროა მოსწავლეების ყველა ენობრივი რესურსის დოკუმენტურად დაფიქსირება. III ნაწილის (ენის პრაქტიკა წარმოშობის ქვეყანაში) მიზანია, გაირკვეს, რამდენად კარგად ფლობს მოსწავლე უცხო ენას კონკრეტულ სფეროში. მხედველობაში შეიძლება იქნას მიღებული ყველა მეორეხარისხოვანი უნარ-ჩვევაც (საუბარი, წერა, კითხვა, მოსმენა).

გარდა კითხვარისა, გამოკითხვა მიმდინარეობს ახლადჩამოსული იმიგრანტი ბავშვებისა და ახალგაზრდების სასკოლო და პროფესიული გამოცდილების, ინტერესებისა და ნიჭის/ტალანტის შესახებ წარმოშობის სხვადასხვა ენაზე. აღნიშნული ღონისძიება იძლევა სასწავლო ჯგუფებში რესპონდენტების განაწილების საშუალებას არა მხოლოდ მოცემულ მომენტში მათი ენის ცოდნის მიხედვით, არამედ მათი მოტივაციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებითაც.

წარმოშობის ქვეყანაში გაცემული ნებისმიერი სერტიფიკატი (მოწმობა/ცნობა) შეიძლება შემოწმდეს კიოლნის მთავრობის მიერ და აღიარებული იქნას, როგორც დაწყებითი და საშუალო სკოლის დამთავრების სრულფასოვანი ცნობა.

http://www.bezreg-koeln.nrw.de/brk_internet/leistungen/abteilung04/48/anerkennung/auslaendische_schulzeugnisse/index.html

ამის საპირისპიროდ, დიუსელდორფის რაიონული მმართველობა აღიარებს უმაღლეს სასწავლებელში მიღების საერთო უფლებამოსილებას.

http://www.brd.nrw.de/schule/schulrecht_schulverwaltung/Zeugnisanerkennung.html

ლიტერატურის ანოტაცია ახლადჩამოსულ იმიგრანტ ბავშვებთან ჩასატარებელი გაკვეთილების სახელმძღვანელოებთან და დამატებით მასალასთან ერთად შეგიძლიათ, იხილოთ ProDaZ-ის ვებგვერდი: <https://www.uni-due.de/prodaz/>.